ელეტრონული სასწავლო რესურსის თემა - King Tub's Castle (მეფე თაბის სასახლე)

რესურსის ავტორი : ქუთაისის შ.პ.ს N 1 სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი - თათია მარდალეიშვილი

მოსწავლეთა ასაკი: 6–7 წელი

მოსწავლეთა რაოდენობა: 6

მიზანი: ეროვნული გეგმის მიხედვით

ე.ს.გ. სტანდარტი : - დაწყებითი საფეხური - I დონე (დ I)

უცხოური ენა

მიმართულება: კითხვა

უცხ.დ.I.6. მოსწავლეს შეუძლია სიტყვების, წინადადებების გაშიფრვა-წაკითხვა.

მიმართულება : ლაპარაკი

უცხ.დ.I.10. მოსწავლეს
შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობის მიღება

რესურსის შექმნის მიზანი

მოგეხსენებათ, რომ ინგლისური ენის სწავლების დაწყებით საფეხურზე, კერძოდ კი პირველ კლასში ვიზუალიზაციას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ამ კონკრეტული ელექტრონული რესურსის შექმნა-გამოყენება შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა; დაწყებით საფეხურზე მოსწავლისათვის მოსაწყენია ტრადიციული გზით ახალი მასალის ახსნა და განმტკიცება, ამიტომ მსურდა რომ მასალა, უფრო საინტერესო და ეფექტიანი, ვიზუალური, ადვილად აღსაქმელი და ინტერაქტიული გზით მიმეტანა კლასში. მსურდა ელექტრონულ რესურსს სწავლების პროცესი შეევსო და ჯგუფს განვლილი მასალის აღქმასა და ფოკუსირებაში დახმარებოდა. ტექნოლოგიამ საშუალება მომცა სხვადასხვა მოდალობით მოსწავლეებისათვის საჭირო სტიმულების ჩადება მომეხერხებინა ელექტრონულ რესურსში. ტექნოლოგიის გამოყენებით საშუალება მომეცა ამ სასწავლო ელექტრონული რესურსით წარმატებით მიმეღწია კონკრეტული სასწავლო მიზნისათვის. მსურდა მასალის შესწავლა ყოფილიყო სახალისო და ინტერაქტიული, მოსწავლეებს სწავლების დაწყებით საფეხურზე ამაღლებოდათ მოტივაცია შესასწავლი საკითხის მიმართ და მაქსიმალურად ყოფილიყვნენ ჩართულები რესურსის გამოყენებისას.

ჩემს მიერ შექმნილი ელექტრონული სასწავლო რესურსი ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს, არის ინგლისური ენის სახელმძღვანელოში English World 1 – ში შესწავლილი მასალის თავმოყრას და მოიცავს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: ფერები, დათვლა, სახლი/ოთახები, ბაღი, საჭმელები. ელექტრონული რესურსი შექმნილი არის www.mystorybook.com –ში და წარმოადგენს წლის მანძილზე შესწავლილი ლექსიკური მასალის ერთად თავმოყრილ ელექტრონულ წიგნს.

ჩემს მიერ შექმნილი ელექტრონული სასწავლო რესურსი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც სასახლის და მისი შემადგენელი ოთახების აღწერისას, ასევე ბაღის და ბაღში შემავალი საგნების (სულიერი/უსულო არსებებების დასახელებისას), ასევე რესურსი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ზედსართავი სახელების დასახელებისას(big, small, pretty, quiet, noisy), ასევე ფერების და რაოდენობრივი ერთეულების დასახელებისას (How many birds are there? – There are three birds). გარდა ამისა ოთახების აღწერისას მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა ნივთების ადგილ–მდებარების დასასახელებლად ნასწავლ წინდებულებს. ამგვარად რესურსი შეიძლება გამოყენებული იქნეს წინდებულების განმტკიცემის მიზნითაც. ილუსტრაციები არის ვიზუალურად ძალიან მრავალფეროვანი და ადვილად აღსაქმელი მოსწავლეებისათვის და შერჩეული ფოტოსურათები განავითარებს მათ ვიზუალიზაციის უნარს. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, რესურსი არის მრავალფუნქციური და მრავალჯერადი. რესურსი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ საკლასო მუშაობის ნებისმიერი ფორმა , ინდივიდუალური , წყვილური , ჯგუფური .

მიღწეული შედეგები:

ელექტრონულმა რესურსმა დადებითი გავლენა მოსწავლეების სწავლის პროცესზე: გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა , შესწავლილი საკითხებისა და ლექსიკური ერთეულების შეჯამება არ იყო ერთფეროვანი და მოსაწყენი. მოსწავლეებს გაუადვილდათ მასალის – რომელსაც პირობითად დავარქვი King Tub's Castle, და წარმოადგენს English World 1–ში შესწავლილ ლექსკური ერთეულების თავმოყრას – გააზრება და აღქმა. ამ ელექტრონული რესურსის სასწავლო პროცესში გამოყენებით მოსწავლეებმა

შეაჯამეს ეს თემები და ლექსიკური ერთეულები ხალისით, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სასწავლო მასალის აღქმაში ჩართულია სხვადასხვა არხები – ვიზუალური და კინესთეტიკური, ამიტომაც დაკმაყოფილებული იქნა განსხვავებული სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების მოთხოვნილებები. ამ ყველა ფაქტორმა ერთად ხელი შეუწყვეს მოსწავლეთა ძალიან მაღალ ჩართულობას.

ელექტრონული სასწავლო რესურსის გამოყენების ინსტრუქცია

ელექტრონული სასწავლო რესურსი **King Tub's Castle** წარმოადგენს ელექტრონულ წიგნს, რომელიც შედგება English World 1–ში შესწავლილი თემატური ერთეულებისაგან, ელექტრონული წიგნის მთავარი პერსონაჟია მეფე თაბი, რომელიც პატარა მკითხველებს აცნობს თავდაპირველად თავის თავს, შემდეგ კი აჩვენებს თავის სასახლეს და სასახლეში შემავალ ოთახებს. მასწაველებს შეუძლია მოსწავლეებს ააღწერინოს ოთახები, თუ რას ხედავენ ამა თუ იმ ოთახში , სად არის ესა თუ ის ნივთი, ამ შემთხვევაში მოსწავლეები შეძლებენ გამოიყენონ წინდებულების ცოდნა ნივთების ადგილ–მდებარეობების დასასახელებლად. სასახლის შემდეგ კი მეფე თაბი საუბრობს თავის ბაღზე, სადაც ხეები და ჩიტები არიან. აქ მასწავლებელმა მოსწავლეებს შესაძლოა ჰკითხოს თუ როგორ ხეებს დავენ სურათზე, როგორ ჩიტებს? ამ შემთხვევაში მოსწავლეები გამოიყენებენ ზედსართავ სახელებს. შემდეგ კი მეფე თაბი მკითხველებს აცნობს პრინცესა ბელას, რომელსაც ხელში სხვადასხვა ფერის ბუშტები უჭირავს, აქ მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლეებს სთხოვოს დაასახელოს ბუშტების რაოდენობა და ფერები. შემდეგ კი მეფე ტაბი საუბრობს მის სილვერზე და მის

კოსმოსურ ხომალდზე, აქ მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლეებს ააღწერინოს ცა ღამით – ვარსკვლავები, მთავრე, მის სილვერის კოსმოსური ტანისამოსი და მისი კოსმოსური ხომალდი. ამგვარად ჩემს მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსი წარმოადგენს შესწავლილი ლექსიკური ერთეულების შეჯამების დემონსტრირებას, არის მრავალფუნქციური და მრავალჯერადი.

როგორც უკვე აღვნიშნე ელექტრონული რესურსი განთავსებულია mystorybook.com ზე კონკრეტულად ამ ელექტრონული რესურსის დავალების ლინკი კი შემდეგია -

https://www.mystorybook.com/books/641150

რესურსით მოსწავლეების მხრიდან ძალიან დიდმა დაინტერესებამ სურვილი კიდევ უფრო გამიღრმავა მოვიძიო, დავგეგმო და სხვა ინოვაციური რესურსები, როგორც ელექტრონული, ასევე ციფრული , რომელთაც სიამოვნებით გავუზიარებ კოლეგებს.

King Tub's Castle
King Tub
Publish
Share
Print Story


my storybook
King Tub's Castle by tatiamardaleishvili
Edit Story
Delete
King Tub's Castle
Publish
Share

There are many rooms in my castle
I have got a bedroom
bedroom

I have got a big living room

living room

I have got a big garden

There is a pond
behind my castle.
There are many fish in
it.

There are birds in my garden. They are noisy.
There is a cat under the tree, it's very quiet.

There are many birds in my garden. They are blue. They are noisy
There is a cat under the tree, it's very quiet.

Thanks for reading !
King Tub


This is Miss Silver. She has got a silver space suit and a space rocket.